საქართველოს პარლამენტი

საქართველოს პარლამენტის ბიუროს
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

№50/4

2013 წელი, 15 აპრილი

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 163-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის ბიურო ადგენს:

1. საქართველოს პარლამენტის წევრის ვახტანგ ხმალაძის წინადადების საფუძველზე, საქართველოს პარლამენტის წევრის ვახტანგ ხმალაძის მიერ საკანონმდებლო ინიციატივით წარმოდგენილი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის შესახებ" (N07-3/78, 04.04.2013) საქართველოს ორგანული კანონის პროექტი განხილულ იქნეს დაჩქარებული წესით.

2. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის პროექტი პარლამენტის სხდომის ერთ დღეს განხილულ იქნეს ორი - მეორე და მესამე - მოსმენით.

3. საქართველოს პარლამენტის კომიტეტებმა, საპარლამენტო ფრაქციებმა, საპარლამენტო უმრავლესობამ, საპარლამენტო უმცირესობამ, პარლამენტის აპარატის იურიდიულმა დეპარტამენტმა, საქართველოს მთავრობამ თავიანთი შენიშვნები და წინადადებები წარუდგინონ საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტს „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის პროექტის განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ საქართველოს პარლამენტის ბიუროს 2013 წლის 15 აპრილის №50/1 გადაწყვეტილებით განსაზღვრულ ვადებში.

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარის პირველი მოადგილე,
ბიუროს სხდომის თავმჯდომარე

მანანა კობახიძე